საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მინდაძე ნინო (ნუნუ) რევაზის ასული

ნ. მინდაძე

მინდაძე ნინო (ნუნუ) რევაზის ასული (დ. 5. X. 1943, თბილისი), ეთნოლოგი. ისტ. მეცნ. დოქტორი (2000). დაამთავრა თსუ-ის ისტ. ფაკ-ტი (1965). 1972-იდან მუშაობდა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლ. და ეთნოგრ. ინ-ტში (2006-იდან ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტი) უმცროს, შემდეგ – უფროს მეცნიერ თანამშრომლად, განყ-ბის გამგედ, მთ. მეცნიერ თანამშრომლად (2006-იდან); 2009-იდან – თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკ-ტის მიწვეული პროფესორია. მ. არის ქართ. ხალხ. მედიცინის შემსწავლელი სკოლის ხელმძღვანელი, ახალი ქვედისციპლინის – ადამიანის ეკოლოგიის დამფუძნებელი, რ-იც ადამიანის ჯანმრთელობის ეკოლ. გარემოს უზრუნველყოფის ტრად. ქართ. გამოცდილებას შეისწავლის. დაჯილდოებულია თსუ-ის მედლით (2023).

თხზ.: ქართული ხალხური მედიცინა (აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით), თბ., 1981; ქართული ხალხური სამედიცინო ცოდნის ჩამოყალიბების ისტორიისათვის, თბ., 2001; რწმენა-წრმოდგენები დაავადებათა გამომწვევი მიზეზების შესახებ, თბ., 2005; ქართული ხალხური სამედიცინო ტრადიციები – Georgian folk medical traditions: კახეთი, თბ., 2005; სამხედრო მედიცინა ძველ საქართველოში, თბ., 2009. ქართველი ხალხის ტრადიციული სამედიცინო კულტურა, თბ., 2013.